საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/32

ქ. ბათუმი 05 მარტი, 2019 წ.

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრონომიის“ და „სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადა გადის 2019 წლის 31 დეკემბერს. ამ პროგრამების და ახალი მოდულის „მცენარეთა დაცვის“ დამატების საფუძველზე შემუშავდა ბსუ-ს „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც 2018 წლის 17 სექტემბრის №94 დადგენილებით დაამტკიცა ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აკრედიტირებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 5 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილებით.

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრონომიის“ და „სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების (როგორც აქტიური, ასევე შეჩერებული სტატუსის მქონე) უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 1 მარტის N06-01/25 დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადდეს დამატებითი, რიგგარეშე შიდა მობილობა, რათა ბსუ-ს „აგრონომიის“ და „სატყეო საქმის“ საბაკალავრო პროგრამების პირველი, მეორე და მესამე წლის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ 2019 წლის 5 თებერვალს აკრედიტირებულ „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, „აგრონომიის“, „აგროეკოლოგიისა“ და „სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №364, 25.11.2011; №365, 25.11.2011; №366, 25.11.2011 გადაწყვეტილებების, „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 5 თებერვლის დადგენილების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 28 თებერვლის №250541 სამსახურებრივი ბარათის და ,,2019 წლის თებერვალში აკრედიტირებულ „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 1 მარტის N06-01/25 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრონომიის", და „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების პირველი, მეორე და მესამე წლის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტებისა (2019 წლის 5 მარტის მდგომარეობით 152 სტუდენტი) და პირადი განცხადების, აკადემიური რეგისტრაციის ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტატუსშეჩერებული პირების 2019 წლის 5 თებერვალს აკრედიტირებულ ბსუ-ს „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით.
2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული **შიდა მობილობის ვადები** განისაზღვროს შემდეგნაირად:

   ა) დოკუმენტაციის მიღება - 2019 წლის 5, 6 მარტი (განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს თანდართული ფორმით - **დანართი 1);**

   ბ) კრედიტების აღიარება - 2019 წლის 7 მარტი;

   გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2019 წლის 7 მარტი (განცხადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს თანდართული ფორმით- **დანართი 2);**

   დ) შიდა მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების მომზადება - 2019 წლის 11 მარტი;

   ე) ჩარიცხვის ბრძანების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2019 წლის 12 მარტი;
3. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრონომიისა" და „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებსაც ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული აქვთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, მიეცეთ შესაძლებლობა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტატუსის აღდგენის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მათზე რიცხული ფინანსური დავალიანება დაფარონ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურთან ერთად.
4. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული რიგგარეშე მობილობის ფარგლებში განხილული იქნეს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიისა" და „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტთა განცხადებები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 14 იანვრის N01-02/03 ბრძანებით დადგენილ ვადებში.
5. წინამდებარე ბრძანება გავრცელდეს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიისა" და „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებზე, რომელთათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არ გასულა 5 წელი.
6. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და ტექნოლოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაციას შიდა მობილობის პროცესის, ბსუ-ს აკადემიური

საბჭოს 2019 წლის 1 მარტის დადგენილებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ტექნოლოგიური ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე, შესაბამის სტუდენტებს დაეგზავნოს სტუდენტური პორტალის მეშვეობით და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
8. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 მარტის N 01-02/32 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის

საგანმანათლებლო პროგრამის ------- სასწავლო წლის

აქტიური // შეჩერებული სტატუსის მქონე

(შემოხაზეთ ან ხაზი გაუსვით შესაბამის სტატუსს)

ბსუ-ს სტუდენტ ----------

(სახელი და გვარი)

ტელეფონი _____

მცხოვრები _____

(მიუთითეთ ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს რექტორის 2019 წლის მარტის N ---------- ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში, ჩავირიცხო და სწავლა გავაგრძელო საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე, რომლის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო 2019 წლის 5 თებერვალს.

ვადასტურებ, რომ გავეცანი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანებას და ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 5 მარტის ბრძანებას.

„ .....“ „ .....“ 2019 წ. ხელმოწერა .....

01-02/32

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 მარტი N-------- ბრძანების

დანართი 2

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის

---------- ----------

საგანმანათლებლო პროგრამის ------- სასწავლო წლის

აქტიური // შეჩერებული სტატუსის მქონე

(შემოხაზეთ ან ხაზი გაუსვით შესაბამის სტატუსს)

ბსუ-ს სტუდენტ ----------

(სახელი და გვარი)

ტელეფონი _____

მცხოვრები _____

(მიუთითეთ ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(შიდა მობილობის შედეგად კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტის თანხმობის თაობაზე)

მონაწილეობა მივიღე ბსუ-ს რექტორის 2019 წლის ----- მარტის N ---------- ბრძანებით გამოცხადებულ შიდა მობილობაში, გავეცანი ჩემ მიერ გავლილი კრედიტების ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამასთან თავსებადობის დასკვნას და თანახმა ვარ _____ კრედიტის აღიარებით სწავლა გავაგრძელო ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების _____ სემესტრიდან.

ხელმოწერა: _____

თარიღი: ----------